საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-18/144

ქ. ბათუმი 23 ---- ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ დიანა კოჩალიძისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ

კურსდამთავრებული დიანა კოჩალიძე ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლიდან მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის N01-09/512 ბრძანებით ჩაირიცხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის 26 ივლისის № 8 გადაწყვეტილებით მიენიჭა შესაბამისი მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
დიანა კოჩალიძემ ბსუ-ს „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში (2017-2019 წლებში) ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში ბსუ-ს ანგარიშზე შემოიტანა სულ 5500 ლარი.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2021 წლის 16 თებერვლის N07-01/11** გადაწყვეტილებით სწავლის წლიური საფასური შემცირდა 2250 ლარამდე ბსუ-ს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზეც სწავლის საფასური ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017-2018 სასწავლო წლიდან განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტით და არ იყო საქართველოს მთავრობის თანხმობა (განკარგულება).

„ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილებით** ცვლილება შევიდა ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 24 ივნისის N8 გადაწყვეტილებაში ბსუ-ს სამი სამაგისტრო პროგრამის (,სამართალი“, ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე") ნაწილში და ნაცვლად 2500 ლარისა, 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის წლიური საფასური განისაზღვრა 2250 ლარით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად, 2250 ლარამდე სწავლის წლიური საფასურის შემცირების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის N07-01/30 და 2021 წლის N07-01/11 გადაწყვეტილება ვრცელდება 2011-2012 სასწავლო წლიდან 2020-2021 სასწავლო წლებში ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე: ,,სამართალი", ,,ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები და საბანკო საქმე" და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" (2018-2019 სასწ. წლიდან) ჩარიცხულ ბსუ-ს სტუდენტებზე, რომლებმაც დაასრულეს სწავლა (კურსდამთავრებულები) ან სხვადასხვა მიზეზით შეუწყდათ სტუდენტის სტატუსი (შიდა/გარე მობილობით/პირადი განცხადებით ან სხვა).

წარმომადგენლობითი საბჭოს 15 ივლისის N07-01/30 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს/სტატუსშეწყვეტილ პირებს (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები), რომლებსაც გადახდილი აქვთ ბსუ-ში სწავლის წლიური საფასური 2 250 ლარზე მეტი ოდენობით, ჩაეთვალათ ზედმეტად გადახდილად და ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მათი წერილობითი განცხადებების შესაბამისად, უნდა დაუბრუნდეთ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

დიანა კოჩალიძემ 2021 წლის 11 მარტს №220820 განცხადებით მომართა ბსუ–ს და მოითხოვა ბსუ-ში სწავლის პერიოდში მის მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნება.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების, დიანა კოჩალიძის მიერ ბსუ-ს „ფინანსები და საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდში (2017 -2019 წლებში) ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში ბსუ-ში გადახდილი 5500 ლარისა და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სააღრიცხვო მონაცემების გათვალისწინებით, მის მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის", ,,ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 16 თებერვლის №07-01/11 გადაწყვეტილების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 24 თებერვლის N158883, 13 აპრილის N352670, 2021 წლის 20 ივლისის N725203 და 23 ივლისის N735014 სამსახურებრივი ბარათების, „ბსუ-ს ზოგიერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (2011-2012 სასწავლო წლიდან ჩარიცხული პირები) ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №07-01/30 გადაწყვეტილების, კურსდამთავრებულის 2021 წლის 11 მარტის № 221837 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ დიანა კოჩალიძეს (პ/ნ) დაუბრუნდეს ბსუ-ში სწავლის პერიოდში ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტსა და შესაბამის კურსდამთავრებულს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **იაკინთე ჩხარტიშვილი**